ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 5

ქ. ონი 25. 05. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, რევაზ საბანაძე, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკ მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, ბიჭიკო კერვალიშვილ;ი, მერაბ ბიჭაშვილი, როსტომ ლობჯანიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, ანა ბაქრაძე, თამილა არჩვაძე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი -მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2. „2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი -მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. გ. ბენდიანიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხს. მამია ყავლაშვილი--კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ

/მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი -მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ საკითხი განხილულია ფრაქციისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე, აღსანიშნავია I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების, განსაკუთრებით კი, ინფრასტრუქტურის მიმართულებით შესრულების ძალიან დაბალი მაჩვენებელი, რასაც აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები და რაც მეტ პასუხისმგებლობას და ძალისხმევას მოითხოვს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოისმინეს: 2. „2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი -მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. გ. ბენდიანიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

გ. ბენდიანიშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი „2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ შეიცვალა რვა სოფლის პრიორიტეტი, შესაბამისად ცვლილება შევიდა განკარგულების პროექტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხს. მამია ყავლაშვილი--კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ

/მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, ბიუროს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე